

ბესს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა

ნაწილი 8: რეაგირება კანონმდებლობის დარღვევაზე (ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტრებისთვის)



ბუღალტრის პროფესიის განმასხვავებელი თავისებურებაა ის, რომ იგი თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას, იმოქმედოს საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ. პროფესიონალი ბუღალტერი შესაძლებელია აღმოჩნდეს ისეთ სიტუაციაში, როდესაც იგი გამოავლენს ან იეჭვებს, რომ დამსაქმებელი ორგანიზაცია ან დამკვეთი არ იცავს კანონმდებლობას. პატიოსნებისა და პროფესიული ქცევის ძირითადი პრინციპები პროფესიონალ ბუღალტრს ავალდებულებს, რომ შესაბამისი ზომების მიღებით მოახდინოს რეაგირება კანონმდებლობის დარღვევაზე (NOCLAR) ისე, რომ საზოგადოებრივი ინტერესები დააყენოს პირველ ადგილზე.

როდესაც ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტერი გამოავლენს ან უბრალოდ ეჭვობს, რომ არსებობს ან შესაძლოა წარმოიქმნას რაიმე სახის დარღვევა, იგი ვალდებულია იმოქმედოს დროულად, საკითხის ხასიათისა და დამსაქმებელი ორგანიზაციის, ინვესტორების, კრედიტორებისა და ფართო საზოგადოებისთვის ზიანის მიყენების შესაძლებლობის გათვალისწინებით. ამისათვის საჭიროა, რომ:

- პროფესიონალი ბუღალტერი გაეცნოს კოდექსის შესაბამის მოთხოვნებს და დაიცვას ისინი, ასევე გაეცნოს და დაიცვას მის იურისდიქციაში მოქმედი ისეთი სამართლებრივი და სხვა მარეგულირებელი დებულებები, რომლებიც განსხვავდება კოდექსის დებულებებისგან ან საერთოდ არ არის გათვალისწინებული კოდექსში (მაგ., მოთხოვნები, რომლებიც საკითხის შესახებ სათანადო ორგანოსთვის ანგარიშის წარდგენას უკავშირდება, ან აკრძალვა, რომელიც სავარაუდო ქმედებაზე დამსაქმებელი ორგანიზაციის გაფრთხილებასთან არის დაკავშირებული).
- პროფესიონალმა ბუღალტერმა გაითვალისწინოს მის ორგანიზაციაში მოქმედი ნებისმიერი პროტოკოლი და პროცედურა, სადაც მოცემულია კანონმდებლობისა და დარღვევასთან დაკავშირებული მითითებები (მაგ., ეთიკის პოლიტიკა და კანონსაწინააღმდეგო ქმედების მხილების პოლიტიკა).

ქვემოთ წარმოდგენილია შესაბამისი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მაგალითები, რომლებიც ეხება შემდეგ საკითხებს:

- თაღლითობა, კორუფცია და მექრთამეობა
- საბანკო საქმიანობა და სხვა ფინანსური პროდუქტები და მომსახურება
- მონაცემთა დაცვა
- გარემოს დაცვა
- ფასიანი ქაღალდების ბაზრები და ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა
- ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსება და შემოსავალი უკანონო საქმიანობიდან
- საგადასახადო და საპენსიო ვალდებულებები/გადახდები
- საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხოება

კონფიდენციალობის შესახებ

- კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება შესაბამისი ორგანოსთვის არ მიიჩნევა ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტრის დამსაქმებლის მიმართ არსებული კონფიდენციალობის ვალდებულების დარღვევად.
- პროფესიონალმა ბუღალტერმა უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად და სიფრთხილე გამოიჩინოს ნებისმიერი რამის მტკიცებისას ან განცხადების გაკეთებისას.

ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტრების ვალდებულებები ემყარება მათ როლს/თანამდებობრივ რანგს

კოდექსის თანახმად, ორგანიზაციის ფარგლებში სხვადასხვა როლი განსხვავდება გავლენის, უფლებამოსილებისა და ინფორმაციაზე წვდომის დონის მიხედვით. შესაბამისად, უფრო მაღალი დონის ვალდებულება ეკისრება ბიზნესში დასაქმებული მაღალი რანგის (უფროს) პროფესიონალ ბუღალტრებს, რადგან ისინი არიან გადაწყვეტილების მიმღები პირები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ თავიანთ ორგანიზაციაში. ბიზნესში დასაქმებულ უფროს პროფესიონალ ბუღალტრს შეიძლება დარგის ვიცე-პრეზიდენტის წოდება, თუმცა, როგორც ასეთი, უფრო მნიშვნელოვანია გავლენის დონე, რასაც ის იხვეჭს ამგვარი წოდების მეშვეობით. ბიზნესში დასაქმებულ უმცროს პროფესიონალ ბუღალტრებს, რომლებსაც არ აქვთ ასეთივე დონის გავლენა, შესაბამისად შედარებით ნაკლები პასუხისმგებლობა აკისრიათ იმ შემთხვევაში, თუ გამოავლენენ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებს ან ეჭვი გაუჩნდებათ ამგვარი ქმედების შესახებ.

განვიხილოთ შემდეგი სცენარი:

მსხვილმა საერთაშორისო სამრეწველო კომპანიამ შეიმუშავა ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტი სამსახურში მიღების მიზნით კანდიდატების წინასწარი შერჩევითვის. ამასთან, სისტემაში ჩატვირთულ მონაცემებს მიჰყვებიან მონაცემთა ბროკერსაც ისე, რომ კანდიდატებს ამის შესახებ არ ეცოდინებათ ან თანხმობა არ ექნებათ მიცემული. ეს არ შეესაბამება ადგილობრივი იურისდიქციის მონაცემთა დაცვის კანონებს. თუ ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტერი გამოავლენს ან იეჭვებს, რომ არსებობს ან შესაძლოა წარმოიქმნას რაიმე სახის დარღვევა, იგი ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები.

კონკრეტული ზომები, რომელიც პროფესიონალმა ბუღალტერმა უნდა მიიღოს, დამოკიდებულია მის როლსა და თანამდებობრივ რანგზე.

ბიზნესში დასაქმებული უფროსი პროფესიონალი ბუღალტერი:

თუ კომპანიის ფინანსური დირექტორი შემთხვევით მოისმენს, რომ პერსონალი განიხილავს კომპანიის სისტემის კანონთან შეუსაბამობის საკითხს, ფინანსური დირექტორი უნდა:

- გაეცნოს საკითხს, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის სისტემას და მის გამოყენებას; როგორ მოქმედებს მონაცემთა დაცვის კანონები ამ კონტექსტში და რა შედეგები შეიძლება მოუტანოს ორგანიზაციასა და დაინტერესებულ მხარეებს. მაგალითად: რა შედეგს მოუტანს ეს ფაქტი გასაუბრებაში მონაწილეებს? დაეკისრება კომპანიას მნიშვნელოვანი ჯარიმები ან შეექმნება მას რეპუტაციის შელახვის საფრთხე?
- მან საკითხის თაობაზე უნდა მიმართოს უშუალო უფროსს, როგორცაა აღმასრულებელი დირექტორი და მათ იმოქმედონ შემდეგნაირად:

- საკითხი განიხილონ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან ერთად, როგორცაა დირექტორთა საბჭო.
- დაიწყონ შიდა მოკვლევა.
- დაიცვან სათანადო კანონები და სხვა ნორმატიული აქტები, მათ შორის ამგვარ საკითხზე ანგარიშის წარდგენასთან დაკავშირებული მოთხოვნები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- შეეცადონ გამოსწორონ, აღმოფხვრან ან შეარბილონ შედეგები, მაგალითად, ამ საკითხის შესახებ აცნობონ იმ პირებს, რომლებმაც უკვე გაიარეს გასაუბრება და აღმოუჩინონ დახმარება მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნით. გეგმის შემუშავებისას, სავარაუდოდ, სასარგებლო იქნება თუ იურისტის ან სხვა ექსპერტების რჩევა იქნება გათვალისწინებული.
- შეამცირონ ასეთი ფაქტის განმეორების რისკი. კერძოდ, ურჩიონ აღმასრულებელ დირექტორს, რომ მონაცემთა გაყიდვა დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს, თუ გამოკითხულთა მხრიდან თანხმობა არ იქნება მიღებული და არ შესრულდება ყველა სხვა სამართლებრივი მოთხოვნა.

დამატებითი ზომები, რომელთა გატარებაც მოეთხოვება ფინანსურ დირექტორს

- განსაზღვროს, უნდა ეცნობოს თუ არა ამ საკითხის შესახებ კომპანიის გარე აუდიტორებს ხელმძღვანელობის მოვალეობის ფარგლებში, რომელიც ვალდებულია გასცეს აუდიტისთვის შესაფერისი ყველაწარმოებული ინფორმაცია.
- შეაფასოს კომპანიის რეაგირების მიზანშეწონილობა.
- მიმართოს პროფესიულ განსჯას იმის დასადგენად, საჭიროა თუ არა შემდგომი მოქმედება. ეს გულისხმობს იმის გათვალისწინებას, მიიჩნევა თუ არა გონიერი და ინფორმირებული მესამე მხარე, რომ ფინანსურმა დირექტორმა მიიღო შესაბამისი ზომები საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

შემდგომი ზომები შეიძლება მოიცავდეს სათანადო ორგანოებისთვის საკითხის გამჟღავნებას მაშინაც კი, თუ ამის არანაირი სამართლებრივი ვალდებულება არ არსებობს; ასევე სიტუაციიდან გამომდინარე, კომპანიისგან ამ პიროვნების ჩამოშორებას. კომპანიისგან ფინანსური დირექტორის ჩამოშორებასთან ერთად მაინც აუცილებელია ზემოაღნიშნული საჭირო ზომების მიღებაც.

ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტერი, რომელსაც არ აქვს უფროსი ბუღალტრის სტატუსი:

თუ საკითხში ეჭვი შეიტანა ბიზნესში დასაქმებულმა შედარებით დაბალი რანგის პროფესიონალმა ბუღალტერმა (მაგ., რომელიც პასუხისმგებელია მოთხოვნების ანგარიშების წარმოებაზე), როდესაც იხილავდა მონაცემთა ბროკერის ფაილების დოკუმენტაციას, სავარაუდოდ:

- ის უნდა შეეცადოს საკითხის შესწავლას.
- მან საკითხი უნდა განიხლოს უშუალო უფროსთან ან მასზე ერთი საფეხურით მაღალი რანგის უფლებამოსილ პირთან, იმ შემთხვევაში, თუ ამ საქმეში უშუალო უფროსიც იყო ჩართული.



კანონმდებლობის გარდაუვალი დარღვევის შემთხვევაში, რომელიც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს ინვესტორებს, კრედიტორებს ან ფართო საზოგადოებას, ბიზნესში დასაქმებულ პროფესიონალ ბუღალტერს შეუძლია გადაწყვიტოს, რომ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საკითხის შესახებ შესაბამის ორგანოს, ამგვარი დარღვევის შედეგების შერბილების მიზნით.

სად მივიღებთ დამატებით ინფორმაციას?



კანონმდებლობის დარღვევებთან დაკავშირებული მითითებები ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტრებისთვის შეგიძლიათ იხილოთ კოდექსის 260-ე განყოფილებაში. ბესს-ის (IESBA) ვებგვერდზე განყოფილებაში „Support & Resources“ მოცემულია სასარგებლო მითითებები ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტრებისთვის, მათ შორის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების სია (NOCLAR Fact Sheet), ბესს-ის პერსონალის კითხვა-პასუხი (IESBA Staff Q&As) და ვიდეოები, რომლებშიც კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები განხილულია სხვადასხვა პოზიციიდან. აგრეთვე, ბესს-ის ვებგვერდზე მოცემულია მრავალსომეცელი განყოფილება კანონმდებლობის დარღვევებთან დაკავშირებით - NOCLAR webpage.

www.IESBAeCode.org-ზე თქვენ იხილავთ eCode-ს - ონლაინ რესურსს, რომელიც განკუთვნილია ბუღალტერთათვის და ასევე კოდექსის სხვა მომხმარებლებისათვის. იგი იძლევა კოდექსზე სწრაფად და ეფექტურად წვდომის საშუალებას, რაც ამარტივებს მის მოხმარებასა და პრაქტიკაში დანერგვას/გამოყენებას.



ბულალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) თანხმობით მის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული დოკუმენტი „ბესს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 8: რეაგირება კანონმდებლობის დარღვევაზე (ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბულალტრებისთვის)“ ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა საქართველოს პროფესიონალ ბულალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ. IFAC-ის მიერ დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს მის მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი ვერსია. IFAC არ იღებს პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე ან მისგან გამომდინარე ნებისმიერ ქმედებაზე.

„ბესს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 8: რეაგირება კანონმდებლობის დარღვევაზე (ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბულალტრებისთვის)“ - ინგლისურენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

„ბესს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 8: რეაგირება კანონმდებლობის დარღვევაზე (ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბულალტრებისთვის)“ - ქართულენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

სათაური ინგლისურ ენაზე: *Exploring the IESBA Code Installment 8 – Responding to Non-Compliance with Laws and Regulations [for PAIBs]*

წინამდებარე დოკუმენტის გავრცელების, შენახვისა და გადაცემის, ან ნებისმიერი სხვა სახით მისი გამოყენების თაობაზე დაუკავშირდით IFAC-ს: Permissions@ifac.org